”ა” კლასის ოსტატთა მატჩები

სტალინო. 8 ივნისი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). სტალინოს ”შახტიორის” შეხვედრამ თბილისის ”დინამოსთან” უდიდესი ინტერესი გამოიწვია მეშახტეთა ქალაქში. თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შეცვლილი შემადგენლობით: კიტია, რუსაძე, გოგლიძე, ხოჭოლავა, მახარაძე, ნ. გაგნიძე, ვარდიმიადი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, ხასაია.

პირველი წუთების თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივა ხელთ აიღეს დინამოელებმა. თავდამსხმელები ფართო ფრონტიტ უტევდნენ მოწინააღმდეგეს, აქტიურად თამაშობდნენ ვარდიმიადი, ღოღობერიძე, ხასაია. 25-ე წუთზე ღოღობერიძემ ხასაიას მოწოდებიდან გაიტანა ბურთი, მაგრამ მსაჯმა იგი არ ჩათვალა ”თამაშგარე” მდგომარეობის გამო.

”შახტიორმა” რამდენჯერმე სცადა გარდატეხა შეეტანა თამაშში, თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა საფრონოვი, მაგრამ თბილისელთა დაცვა თამაშობდა ამჯერად დიდი მონდომებით და ყურადღებით. ტაიმის დასასრულს სტალინოელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ნ. გაგნიძემ ზედ კართან მიაწოდა ბურთი, რომელიც თავით მიიღო ღოღობერიძემ და ზუსტად გაიტანა გოლი - 1:0.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. ”შახტიორმა” თავიდანვე შეუტია მოწინააღმდეგეს. თბილისელთა საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. საფრონოვი, ალპატოვი, დეგტიარიოვი ზედიზედ გადიოდნენ კართან, მაგრამ ”დინამოს” დაცვა, თუმცა ძალების სრული დაძაბვით, მაინც იგერიებდა მრავალრიცხოვან შეტევებს. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო კიტიამ.

მატჩის ბოლო წუთებში ”შახტიორმა” უკანასკნელად სცადა ანგარიშის გათანაბრება, თბილისელთა კართან მოწოდებულ იქნა ორი კუთხური, მაგრამ დინამოელებმა შეძლეს ამ იერიშის უვნებელყოფა და მატჩი დამთავრდა თბილისის ”დინამოს” გამარჯვებით - 1:0.

***

ამავე ანგარიშით მოიგო შეხვედრა ”შახტიორთან” თბილისის ”დინამოს” სათადარიგო შემადგენლობამ, რომელიც ამჟამად ლიდერია დუბლიორთა ჯგუფში.

ვ. მანაენკო.

ლელო 12.06.55